სსიპ
საქართველოს დაზღვევის
სახელმწიფო
ზედამხედველობის
სამსახური

LEPL
INSURANCE STATE
SUPERVISION
SERVICE OF GEORGIA

N 1474
12/12/2025

1474-7-2-202512121708

სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) 2025 წლის საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ ანგარიშს.

1. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და გაცემის შესახებ, მონაცემები საჯარო ინფორმაციაში შესწორებების შეტანის შესახებ

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 7 განცხადება. შემოსული განცხადებებიდან 1 ეკუთვნის - სსიპ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 1 განცხადება - სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს, ხოლო 5 - ფიზიკურ პირს.

ყველა შემთხვევაში განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცა სრულად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. გადაწყვეტილება ექვს განცხადებასთან დაკავშირებით მიღებულია სამსახურის უფროსის მოადგილის მაია კუბლაშვილის მიერ, ხოლო ერთ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ-ს ირაკლი თუთარაშვილის მიერ.

სამსახური არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, შესაბამისად სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, საანგარიშო პერიოდში მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

2. ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზების და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემის შესახებ

სამსახურში მოქმედებს საჯარო მონაცემთა ბაზების რეესტრი, სადაც სათანადოდ არის აღრიცხული საჯარო ინფორმაცია მისი დასახელების, მიღების, დამუშავების, გამოცემის თარიღის, ასევე იმ პირის (დასახელების) მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა და/ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია. გარდა ამისა, სამსახურის ოფიციალურ ვებ–გვერდზე ქვეყნდება ყველა ის საჯარო ინფორმაცია, რომელსაც სადაზღვევო კანონმდებლობა ითვალისწინებს.
საანგარიშო პერიოდში შემოსული არცერთი განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით არ შეეხებოდა პერსონალური მონაცემებს.
სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შენახვასა და გაცემას ახორციელებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. ინფორმაცია მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა.

4. მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გამოყენებული საკანონმდებლო აქტების შესახებ

სამსახური საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ხელმძღვანელობს შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–3 თავით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით (ისევე, როგორც მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტებით), რომლის შესაბამისი მუხლი ითვალისწინებს სამსახურის მხრიდან მზღვეველის კომერციული, კონფიდენციალური და დაზღვევის საიდუმლოების დაცვას.

5. მონაცემები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების შემთხვევების შესახებ

სამსახურში არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება და არც გასაჩივრების შემთხვევა.

6. მონაცემები საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდში სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის

სამსახურის მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯები არ წარმოშობილა, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდას ადგილი არ ჰქონია.

დავით ონოფრიშვილი

სამსახურის უფროსი